



]

**საქართველო**  
**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის**  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

N 251  
01/02/2017

251-01-4-201702011940



„ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის ძეგლის განთავსებისათვის საუკეთესო ესკიზური პროექტის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 იანვრის №185 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 იანვრის №185 ბრძანებასა და დანართ №1-ში დაშვებულია სხვადასხვა ხასიათის ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის ძეგლის განთავსებისათვის საუკეთესო ესკიზური პროექტის შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ“ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 26 იანვრის №185 ბრძანებაში, კერძოდ:

ა/. ბრძანების მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შოთა რუსთაველის ძეგლის განთავსებისათვის საუკეთესო ესკიზური პროექტის შესარჩევად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნას დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

შოთა მურღულია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;  
კონსტანტინე ქავთარაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი კიკვაძე -მოქანდაკე;

ბაქარ ჭეიშვილი - არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ვაჟა ჯუღელი - კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ოთარი ჩიხლაძე - მერის მრჩეველი, კომისიის წევრი;

გრიგოლ ქობალიანი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

რობიზონ წინწკალაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კომისიის წევრი;

ზაზა ჩხიკვაძე - არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი“.

**ბ/** ბრძანების მე-3 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დროებითმა კომისიამ გამოავლინოს ნამუშევრებს შორის საუკეთესო“.


**გ/** ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1 /კონკურსის პროგრამა და პირობები/ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით /დანართი №1 ბრძანებას თან ერთვის/.

2. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრადის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ნოდარ მიქიაშვილი



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

## კონკურსის პროგრამა და პირობები


1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლისა.
2. ერთ კონკურსანტს შეუძლია რამდენიმე ნამუშევრის წარმოდგენა.
3. არათემატიკური, შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ნამუშევრები გაფრთხილების გარეშე გამოეთიშება კონკურსს.
4. ნამუშევარი კონკურსიდან მოიხსნება, თუ ის წარმოადგენს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, ან უკვე გამოყენებაშია (საქართველოში ან საზღვარგარეთ).
5. კონკურსანტმა საკონკურსო ნაშრომი შეიძლება გამოაგზავნოს ფოსტით, ან წარმოადგინოს დალუქული კონვერტით მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3, მე-2 სართული, ოთახი №204. კონვერტში დაფიქსირებული უნდა იყოს ნამუშევრის ავტორის/ავტორების სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი. მასალა წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ვერსიით (CD/DVD დისკი).
6. კონკურსი გამოცხადდება ჩაშლილად, თუ არც ერთი ნაშრომი არ იქნება შემოტანილი, შემოტანილი ნაშრომები არ შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს ან/და არ იქნება მოწონებული კომისიის მიერ.
7. საკონკურსო განცხადების მიღების ვადებში კონკურსში მონაწილეობის მსურველს, კონკურსის პირობებთან დაკავშირებით კონსულტაციების მიღება შეუძლია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3, ოთახი №204, ან ტელეფონზე: 5 99 35 00 04; 0 431 24 54 77, საკონტაქტო პირი- ზაზა ჩხიკვაძე.
8. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს და გამარჯვებულს გამოავლენს საკონკურსო კომისია.
9. თუ კომისიის მიერ კონკურსანტის მხრიდან გამოვლინდა წინასწარი განზრახვით ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედება, მაშინ კომისიას უფლება აქვს ხმათა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება მისი კონკურსიდან მოხსნის შესახებ;

კონკურსის ვადები:

- კონკურსის გამოცხადების დრო- 2017 წლის 01 თებერვალი;
- საკონკურსო განაცხადების მიღება: 2017 წლის 01 მარტის 18:00 საათამდე;
- საკონკურსო აპლიკაციების განხილვა- განცხადებების მიღების დასრულებიდან 10 დღის ვადაში;
- გამარჯვებულის გამოვლენა არაუგვიანეს 2017 წლის 20 მარტისა.

ძირითადი მოთხოვნები შოთა რუსთაველის ძეგლის ესკიზურ პროექტთან დაკავშირებით:

- შოთა რუსთაველის ძეგლი უნდა განთავსდეს რუსთაველის გამზირზე.
- შოთა რუსთაველის ძეგლის განთავსების ადგილი შერჩეული იქნება კონკურსში გამარჯვებული ესკიზური პროექტის შემდეგ.
- ძეგლის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 1.80 მეტრისა.
- ძეგლის კვარცხლბეკის არქიტექტურული იერსახის შერჩევა შესაძლებელია ძეგლის განთავსების ადგილის შესაბამისად.
- ძეგლის ჩამოსასხმელ მასალად შერჩეული იქნას ბრინჯაო.



ქალაქ ქუთაისში შოთა რუსთაველის ძეგლის განთავსებისათვის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოსავლენი დროებითი კომისიის რეგლამენტი

1. კომისიის წევრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
3. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორიმესამედი.
4. კომისიამ სხდომებზე, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მოიწვიოს პირი ან/და პირები, რომელთაც შეუძლიათ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება კომისიისათვის.
5. კომისიის სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები.
6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას.

წ. მელიქიძე